საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2461 2022 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის №368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის №368 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების შესრულების გათვალისწინებით, მათი ფინანსური დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 12 450 000 (თორმეტი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა, მათ შორის:

ა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარისა;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 450 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

გ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

დ) შუახევის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 400 000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

ე) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ვ) ხულოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ზ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

თ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ი) ახალგორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა;

კ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

ლ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

მ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**